ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 20 ნოემბერი 2013 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №94

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”–ს 103-ე მუხლის, 106–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (თან ერთვის) გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”–ს 55-57-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ავთანდილ მექვაბიშვილი**

Created by free version of DocuFreezer

ცნობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღნიშნავს, რომ საკრებულოში იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა 2013 წლის ---- დეკემბერი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2013 წლის 25 დეკემბრამდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. №1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული. (პასუხისმგებელი პირი პაატა ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი. ტელ: 27–55–20.)

Created by free version of DocuFreezer